



საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 350  
29/05/2017

ბრძანება

350-09-4-201705291019



**ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ახალი 35 კვ-იანი  
ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის „სხალთა-შუახევი“-ს მონაკვეთის  
მშენებლობისათვის კონსტრუქციული სქემის შეთანხმების შესახებ**

უნდა აღინიშნოს, რომ შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს 2017 წლის 27 თებერვლის №1682/09 წერილის თანახმად გაგრძელდა ადმინისტრაციული წარმოება ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ახალი 35 კვ-იანი ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის „სხალთა-შუახევი“-ს მონაკვეთის მშენებლობისათვის კონსტრუქციული სქემის შეთანხმების თაობაზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 28 -ე მუხლის მე-3-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; 52-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობის რეგულირების ღონისძიებათა შესახებ“ მე-8-ე მუხლის მე-2-ე და მე-3-ე პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესათანხმებლად გადაეგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (კორესპოდენცია №09/4602 10.05.2017 წ.), როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, საიდანაც მოსულია თანხმობის წერილის (კორესპოდენცია №01-10/1932. 16.05.2017 წ. მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეგისტრაციის №4994/09. 17.05.2017 წ.), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბრძანების (ბრძანება №01-3/193; 16.05.2017 წ.) და რეგულირების საბჭოს 2017 წლის 18 მაისის №06 გადაწყვეტილების (მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეგისტრაციის №5125/09. 19.05.2017 წ.) ელექტრონული ვერსია.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-X-ე თავით მოთხოვნილ პირობებთან.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის

მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს მოთხოვნა და შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ახალი 35 კვ-იანი ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის „სხალთა-შუახევი“-ს მონაკვეთის მშენებლობისათვის კონსტრუქციული სქემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე-X-ე თავის და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 23 მაისის N1595-09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

#### **ვბრძანებ:**

1. შეთანხმდეს ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ახალი 35 კვ-იანი ერთჯაჭვიანი ელექტროგადამცემი ხაზის „სხალთა-შუახევი“-ს მონაკვეთის მშენებლობისათვის კონსტრუქციული სქემა.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს.
3. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა (ა. ბოლქვაძე) უზრუნველყოს ბრძანების ხულოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე (khulo.ge) განთავსება.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) მისი მხარეზე ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა